



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030409545466017

04-61/ო

07 / თებერვალი / 2017 წ.

“2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილებით დამტკიცებული 2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის N9 დანართის (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა) ფარგლებში, ფოლიუმის მჟავის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილებით დამტკიცებული 2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის N9 დანართის (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა) მე-9 მუხლის მე-15 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის, ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 6 თებერვლის N01/6931 წერილის გათვალისწინებით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს “2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილებით დამტკიცებული 2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის N9 დანართის (შემდგომში - დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამა) მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის (მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით უზრუნველყოფა) „ზ.ა“ ქვეპუნქტის ფარგლებში შესყიდული მედიკამენტის (შემდგომში - ფოლიუმის მჟავა) გაცემის და მიწოდების წესი, შემდეგი პირობების შესაბამისად:

ა) ფოლიუმის მჟავის გაცემის წესი ორსულზე:

ა.ა) ფოლიუმის მჟავის მიღება შეუძლია საქართველოს მოქალაქე ყველა ორსულს, ორსულობის 13 კვირის ვადამდე;

ა.ბ) ორსულობის დადასტურების შემთხვევაში, ანტიენაჭალური მეთვალყურეობის სერვისის მიმწოდებელი მეთვალყურეობის მიმწოდებელ დაწესებულებას (შემდგომში - დაწესებულება);

ა.გ) ორსულობის დადასტურების შემთხვევაში, ანტიენაჭალური მეთვალყურეობის სერვისის მიმწოდებელი დაწესებულების (შემდგომში - დაწესებულება) მიერ გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი არეგისტრირებს ორსულს ორსულთა და ახალშობილთა მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში, უთითებს ორსულობის

ვადას, მონიშნავს ფოლიუმის მჟავის ველს, რის საფუძვლიანობაზე, პროგრამა ავტომატურად ითვლის ფოლიუმის მჟავის საჭირო რაოდენობას (კონკრეტული ორსულისათვის ორსულობის დადგენის პერიოდიდან ორსულობის 13 კვირამდე). შემდეგ გადადის სპიკ. მედიკამენტების აღრიცხვა - გაცემის ელექტრონულ პროგრამაში, შეაქვს შესაბამისი ჩანაწერი და გაცემს ორსულზე ფოლიუმის მჟავას;

ა.დ) თუ ორსულთა და ახალშობილთა მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდელში ორსულის რეგისტრაციის დღის ვერ მოხერხდა კონკრეტული ორსულისათვის ორსულობის დადგენის პერიოდიდან ორსულობის 13 კვირამდე საჭირო რაოდენობის ფოლიუმის მჟავის გაცემა, დაწესებულება ვალდებულია, წამლის გაცემის მომენტში, მექანიკურად გამოაკლოს ფოლიუმის მჟავას ის რაოდენობა, რამდენდღიანი სხვაობაა რეგისტრაციის დღისა და გაცემის დღეს შორის. აღნიშნული ქმედების სისწორეზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება დაწესებულებას;

ა.ე) ფოლიუმის მჟავა გაიცემა ერთჯერადად, დაწესებულებაში მიმართვიდან ორსულობის 13 კვირამდე საჭირო (სრული კურსის საჭიროება) ოდენობით;

ა.ვ) სხვადასხვა მიზეზით ორსულობის შეწყვეტის შემთხვევაში, ორსულზე გაცემული ფოლიუმის მჟავა არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას;

ბ) ფოლიუმის მჟავის მიწოდების წესი დაწესებულებისათვის:

ბ.ა) დაწესებულების მიერ ფოლიუმის მჟავის გაცემის უზრუნველსაყოფად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) არეგისტრირებს დაწესებულებას სპეციფიკური მედიკამენტების აღრიცხვა-გაცემის ელექტრონულ ბაზაში, რათა შეძლოს ბაზაში მუშაობა, სამკურნალო საშუალების გაცემის მიზნით;

ბ.ბ) სააგენტო, დაწესებულების წერილობითი მოთხოვნის (ორსულების პროგნოზული რაოდენობის გათვალისწინებით) შესაბამისად, უზრუნველყოფს მის მომარაგებას სამკურნალო საშუალებით (მედიკამენტის გატანა ბაზიდან ხდება დაწესებულების მიერ);

ბ.გ) ახალი დაწესებულების დარეგისტრირებისას ან ნებისმიერ სხვა გაუთვალისწინებელ (მაგ. ბენეფიციართა რიცხვის გაზრდა) შემთხვევაში, დაწესებულება წერილობით მიმართავს სააგენტოს, ფოლიუმის მჟავის დამატებითი რაოდენობის გადაცემის თაობაზე;

ბ.დ) დაწესებულების პროგრამიდან გასვლის შემთხვევაში, წერილობითი მომართვის საფუძვლიანობაზე, სააგენტო თავისი შეხვედრებისამებრ (ჭირბოროტული პრინციპის გათვალისწინებით) უზრუნველყოფს ფოლიუმის მჟავის დარჩენილი რაოდენობის გადატანას ანალოგიური სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში, შემდგომი გამოყენების მიზნით;

ბ.ე) ფოლიუმის მჟავის მოქმედების ვადის გასვლის თარიღიდან აცილების მიზნით, სააგენტო იტოვებს უფლებას, პროგრამულად გადააწიროს ფოლიუმის მჟავა იმ ანალოგიური სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას (ჭირბოროტული პრინციპის გათვალისწინებით), სადაც მედიკამენტის ხარჯვის მაღალი მაჩვენებელია. ერთი დაწესებულებიდან მეორეში მედიკამენტის გადატანა (ტრანსპორტირება) განხორციელდება დაწესებულებათაშორისი შეთანხმების საფუძველზე.

ბ.ვ) დაწესებულებებისათვის მედიკამენტების მიწოდებას, სააგენტოს სახელით, უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში სამკურნალო საშუალებების საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე გაფორმების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის მომსახურების განმახორციელებელი;

ბ.ზ) დაწესებულება პასუხისმგებელია სპეციფიკური მედიკამენტების აღრიცხვა-გაცემის ელექტრონულ ბაზაში დაფიქსირებული ინფორმაციის სისწორეზე;

ბ.თ) დაწესებულება ვალდებულია, სააგენტოში წარმოადგინოს შესაბამისი საანგარიშგებო დოკუმენტაცია არაუგვიანეს შესრულებული სამუშაო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა. წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სპეც.მედიკამენტების აღრიცხვა - გაცემის ელექტრონულ პროგრამაში დაფიქსირებული ჩანაწერი ჩაითვლება სამუშაო თვის შესრულებად და არ დაექვემდებარება დაკორექტირებას.

2. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს (კ. ჩხარტიშვილი):

ა.ა) ადმინისტრირება გაუწიოს ბრძანების შესრულებას;

ა.ბ) უზრუნველყოს ანტენატალური მეთვალყურეობის მიმწოდებელი დაწესებულებების ინფორმირება წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებულ საკითხებზე და მოთხოვნის შემთხვევაში, მათთვის კონსულტაციის გაწევა;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს “2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N660 დადგენილებით დამტკიცებული 2016 წლის

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის N9 დანართის (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა) ფარგლებში, ფოლიუმის მჟავის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ” სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 31 მაისის N04- 262/ო ბრძანება.

4. წინამდებარე ბრძანების ამოქმედებამდე პერიოდში ფოლიუმის მჟავის გაცემის წესთან დაკავშირებით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება რეგულირდებოდა „2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N660 დადგენილებით დამტკიცებული 2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის N9 დანართის (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა) ფარგლებში, ფოლიუმის მჟავის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ” სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 31 მაისის N04- 262/ო ბრძანების შესაბამისად.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე